ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №10

2021 წლის 24 დეკემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხისა და

თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20, 25-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ", ,,დ.ე" ქვეპუნქტების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის №07 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **დ.მჭედლიშვილი**

დანართი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო

N	თანამდებობების დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	4510	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3410	1
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2970	2
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2420	5
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2200	2
	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1760	11
	საკრებულოს აპარატი		
1	მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) პირველი რანგის თანამდებობა	1650	1
2	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის II რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში	1320	1
3	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	880	2
4	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	880	4
5	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	880	1
6	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	880	1
7	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვისა და საკადრო საკითხებში	880	1